¤

ქარში დაკარგვა ისევ მწყურია,
ეს ღამე რაღაც უცნაურია.

ცის მდუმარება იგრძნეს ქუჩებმა,
აქ ბრწყინავს სევდა, იქ სილურჯეა.

მოქალაქენი ნელა მიდიან,
ირგვლივ დუმილი და სიმშვიდეა.

მთვარე წავიდა, ღამე შავია,
აქ ვარ მიწაზე, იქ ვარსკვლავია.

ჩემთვის პოეტი მხოლოდ გულია,
სადღაც სიბნელე და უფსკრულია.

ვწევარ, ქუჩებში სხვები დადიან
და როგორც ლექსი, ცა მარადია.

ქარში დაკარგვა ისევ მწყურია,
ეს ღამე რაღაც უცნაურია.

რვა ივნისია, ცხელა,
ოცნება ადის ცამდე.
ინდა მოვშორდე ყველას.
მინდა გავიქცე სადმე.

ჯერ კიდევ ძალა შემწევს,
ვიგრძნო დუმილი ვარდის.
მხოლოდ შენ ფიქრობ ჩემზე
დ იცი, რას ჰქვია დარდი.

ისევ მიწასთან ვდგევარ,
9ინდა გავიდე ველზე,
ისევ მზიანი დღეა,
ისევ სიხარულს ვეძებ.

ამი სიზმარი ვნახე,
მგონია, გუშინ დილით,
აღარ ექნება სახე

ახლა უჩემო თბილისს.

ოცნება ადის ცამდე,
ვნანობ ამნაირ დღეში.
და ყაჩაღივით სადმე
დავიმალები ტყეში.